

EU4BUSINESS | EBRD Credit Line

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საფინანსო და საკონსულტაციო პროგრამა
საგრანტო მხარდაჭერის ფარგლებში
სესხების გაცემის გზით საქართველოში
თანამედროვე და მომგებიანი მცირე და
საშუალო ბიზნესის მშენებლობა



European Bank
for Reconstruction and Development



EU4Business



რას წარმოადგენს EU4Business-EBRD Credit Line?	2
ვის შეუძლია ისარგებლოს EU4Business-EBRD Credit Line - ის სესხებით და გრანტებით?	3
როგორ მუშაობს ეს პროგრამა?	4
როგორ მუშაობს ე.წ. LET („ნებადართული ტექნოლოგიების სია“) მიდგომა?	5
LET (ნებადართული ტექნოლოგიების სია) მიდგომის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების ნიმუშები	6
როგორ მუშაობს მარტივი პროექტის მიდგომა?	7
მარტივი პროექტის ინვესტიციის მაგალითები	8
როგორ მუშაობს კომპლექსური პროექტის მიდგომა?	9
კომპლექსური პროექტის მიდგომის მაგალითები	10
ჩვენი პარტნიორი ბანკები	11
წარმატების ისტორიები	12-15



რას წარმოადგენს EU4BUSINESS-EBRD CREDIT LINE?

EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზი წარმოადგენს ევროკავშირისა და EBRD-ის ერთობლივ ინიციატივას, რამელიც მიზნად ისახავს ქართული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინვესტიციების დაფინანსებას, რაც მათ საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში წარმოდგენილი შესაძლებლობები. EU4Business ევროკავშირის მაშტაბური ინიციატივის ნაწილია რომლის მიზანია ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესს გზა გაუხსნას და გაუმარტივოს ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტო პოტენციალი, რომელიც ასევე DCFTA-ის განუყოფელი ნაწილია.

დააბანდეთ ფული
თქვენი ბიზნესის
მოდერნიზაციასა და
ევრო სტანდარტებთან
დაახლოებაში

EU4Business-EBRD Credit Line და საგრანტო მხარდაჭერა გთავაზობთ შემდეგს:

- EBRD-ის სესხები საქართველოში მოქმედი ჩვენი პარტნიორი ბანკებისაგან
- ევროკავშირის საგრანტო წახალისება წარმატებულად განხორციელებული პროექტებისათვის
- ტექნიკის სფეროში საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ უფასო ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მათთვის სასურველი ინვესტიციებისა და განვითარებისათვის საუკეთესო გადაწყვეტილებების პოვნას გაუადვილებს.

მაქსიმალურად
ისარგებლეთ
გაუმჯობესებულ
პროდუქტის
ხარისხითა და
კონკურენტუნარიანობით
საქართველოსა
და ევროკავშირის
ბაზრებზე გაზრდილი
შესაძლებლობების
გამოყენების გზით

EU4Business-EBRD Credit Line და საგრანტო მხარდაჭერა წარმოადგენს ძალზე მოქნილ პროგრამას, რომელსაც არსებითად შეუძლია სამი განსხვავებული მიდგომის მეშვეობით ნებისმიერი სახის მოდერნიზაციის პროექტების მხარდაჭერა.

ე.წ. **'LET'** მიდგომა არის განკუთვნილი იმ კომპანიებისათვის, რომლებიც გეგმავენ ჩვენს მიერ წინასწარ დამტკიცებული მოწყობილობა/დანადგარებისა და ტექნიკის შეძენას. აღნიშნული ტექნოლოგიების შეძენისათვის საჭირო დაფინანსება შესაძლებელია პირდაპირი გზით ჩვენი პარტნიორი ბანკების მიერ EU4Business-EBRD Credit Line -ის ფარგლებში 300,000 ევროს ექვივალენტი სესხების გაცემით. 10%-იანი გრანტის მიღება შესაძლებელი იქნება პროექტის წარმატებული განხორციელების დასტურის შემთხვევაში.

ე.წ. **'მარტივი პროექტის'** მიდგომა: ეს არის სწრაფი პროცედურა, რომელიც განკუთვნილია 300,000 ევრომდე მცირე სესხებისათვის და ემსახურება ინვესტირებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტის წარმოების სფეროში უსაფრთხოების გაზრდას. პროექტის კონსულტანტი უბრალოდ ამოწმებს საინვესტიციო გეგმის შესაბამისობას ძალზედ მარტივ დასაშვებობის მოთხოვნებთან. 15%-იანი გრანტის მიღება შესაძლებელია პროექტის წარმატებული განხორციელების დასტურის შემთხვევაში

ე.წ. **'კომპლექსური პროექტის'** მიდგომა: აღნიშნული მიდგომა განკუთვნილია 3 მილიონ ევრომდე სესხებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს (თითქმის) ნებისმიერი სახის მოდერნიზაციის პროექტს ნებისმიერ საწარმოო და მომსახურების სექტორში. ინვესტიციები, რომლებიც საჭიროებენ უფრო დეტალურ ტექნიკურ შეფასებას, შეძლებენ ისარგებლონ ჩვენი უფასო ტექნიკური დახმარებით, რაც მიზნად ისახავს საინვესტიციო გეგმის ოპტიმიზაციას. 15%-იანი გრანტის მიღება შესაძლებელია პროექტის წარმატებული განხორციელების დასტურის შემთხვევაში

ვის შეუძლია ისარგებლოს EU4BUSINESS-EBRD CREDIT LINE -ით და გრანტებით?

კომპანიები, რომელთაც სურთ თავიანთი საქარმოებისა და/ან მომსახურების მოდერნიზაციაში ინვესტირებისათვის დაფინანსების მიღება EU4Business-EBRD Credit Line-ით და საგრანტო მხარდაჭერით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ტერმინი 'მცირე და საშუალო ბიზნესი' მოიცავს ინდ.მეწარმეებს!
- კომპანიაში დასაქმებული უნდა იყოს 250 თანამშრომელზე ნაკლები და წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს 50 მილიონ ევროს ექვივალენტზე ნაკლებს, და/ან წლიური ბალანსი არ უნდა აღემატებოდეს 43 მილიონ ევროს ექვივალენტს.
- კომპანია უნდა იყოს ჩამოყალიბებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური მეწარმეები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირებული უნდა იყვნენ როგორც მეწარმეები ან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული პირები.
- ბიზნესი უნდა ოპერირებდეს საქართველოში ან საქართველო უნდა წარმოადგენდეს ბიზნესის ოპერირების ძირითად ადგილს, საიდანაც მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება ბიზნესის წარმოება.
- იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობა, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო, ან ნებისმიერი პოლიტიკური, სამთავრობო ან ადმინისტრაციული ორგანო ან ქვე-უწყება ფლობს რაიმე წილს აღნიშნულ ბიზნესში, ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს 49%-ს და საჯარო პირი უნდა იყოს პირდაპირ ან ირიბად ჩართული კომპანიის ყოველდღიურ მართვაში ან უნდა ახორციელებდეს კომპანიის საქმიანობის მართვის კონტროლს.
- ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი. ტერმინი 'დამოუკიდებელი' განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - კომპანიის სააქციო კაპიტალის ფლობა ან მართვა სხვა კომპანიის/ორგანიზაციის მიერ, რომელიც არ აკმაყოფილებს მცირე და საშუალო ბიზნესის ჩვენს მიერ შემოთ მითითებულ კრიტერიუმებს, არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.
 - კომპანია/ბიზნესი არ წარმოადგენს კომპანიების/ბიზნესების ჯგუფის ნაწილს, რომელიც საერთო კონტროლის ქვეშ არის და სადაც ჯგუფის წევრი ყველა კომპანია ჩართული არის ერთნაირ (ანალოგიურ) ბიზნეს სექტორში და ჯგუფში შემავალი კომპანიების საერთო მახვენებელი არ შეესაბამება შემოთ მითითებულ მცირე და საშუალო ბიზნესის კრიტერიუმებს.
- კომპანია/ბიზნესი ფლობს ყველა საჭირო თანხმობასა და ნებართვას და შეესაბამება საქართველოს ეროვნულ გარემოს დაცვის, სოციალურ, ჯანდაცვისა & უსაფრთხოების ნორმებსა და კანონმდებლობას.
- კომპანია/ბიზნესი არ უნდა იყოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) იმ პირთა/ორგანიზაციათა სიაში, რომელთაც უარი ეთქვათ EBRD-ის დაფინანსებულ კონტრაქტებზე ან EBRD-ის დაფინანსებაზე.
- თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენი კომპანია ან ბიზნესი აკმაყოფილებს ამ ზოგად კრიტერიუმებს, გთხოვთ დაუკავშირდეთ კონსულტაციისათვის ჩვენი პროექტის ოფისს.

პრინციპში, ნებისმიერ მცირე და საშუალო მეწარმეს ან ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლია მოითხოვოს ევრო კავშირი ბიზნესის მხარდასაჭერად (EU4BUSINESS) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სესხი და გრანტი.

ჩვენ ვერ დავაფინანსებთ იმ კომპანიებსა და ბიზნესებს, რომლებიც ეწევიან ქვემოთ-ჩამოთვლის საქმიანობას:

- იარაღის ან სამხედრო ტექნიკის წარმოება და/ან ვაჭრობა
- ფინანსური ინსტიტუტები ან ფინანსური მომსახურების კომპანიები
- სადაზღვეო ბიზნესი
- თამბაქოსა და მძიმე ალკოჰოლური სასმელების წარმოება
- თამბაქოსა და მძიმე ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თამბაქოსა და მძიმე ალკოჰოლით ვაჭრობა კომპანიის ძირითადი საქმიანობის დამხმარე კომპონენტს წარმოადგენს)
- სამორინე/კაზინო და სხვა აზარტული თამაშების დაწესებულებები
- სპეკულაციური ინვესტიციები უძრავ ქონებაში ან ვალუტაში ან რაიმე სხვა სახის სპეკულაციური ინვესტირება
- ნებისმიერი სახის ფასიან ქალაქებში ინვესტირება, მათ შორის სხვა კომპანიების სააქციო კაპიტალში ინვესტირება
- ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამორიცხვის სიაში არის მითითებული

როგორ მუშაობს ეს პროგრამა?

ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა კრედიტის სამი სახეობა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა კომპანიების მრავალფეროვან მოთხოვნებს, სამეწარმეო სექტორებს, სადაც ეს კომპანიები მოღვაწეობენ და მათ ინდივიდუალურ განვითარების ეტაპებს:



ნებადართული ტექნოლოგიების სია


[LET]

კრედიტები წინასწარ დამტკიცებულ ტექნოლოგიებში ინვესტირებისათვის. ეს არის €300,000 მდე ინვესტიციები. წინასწარ დამტკიცებულ ტექნოლოგიებში ინვესტირებისათვის შესაძლებელია 10%-მდე საგრანტო წახალისების მიღება.



მარტივი პროექტები

კრედიტები, რომლებიც მიზნად ისახავს ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებთან ან საკვების უვნებლობის ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის ინვესტირებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ასოცირებული შეთანხმების შესაბამისად. ამგვარი ინვესტიციების ოდენობა არ უნდა აღარბეჭდეს €300,000 და შესაძლებელია 15%-მდე საგრანტო წახალისების მიღება.



კომპლექსური პროექტები

კრედიტები უფრო მსხვილი ინვესტიციებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანობის გაზრდას და მოიცავს როგორც ახალი ტექნიკის შესყიდვას, ასევე ლაბორატორიული პროცესების გაუმჯობესებას. სესხები გაიცემა €3 მილიონამდე ოდენობით და ასევე 15%-მდე საგრანტო წახალისების შესაძლებლობით.

ევრო კავშირი ბიზნესის მხარდასაჭერად (EU4BUSINESS) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) საკრედიტო ხაზის მეშვეობით ინვესტირება თქვენი ბიზნესის გაუმჯობესებისთვის არის ძალზედ მარტივი. ჩვენ გვყავს ტექნიკურ სფეროში საერთაშორისო ექსპერტთა გუნდი, რომელიც დაგეხმარებათ ყველა შემდგომი ეტაპის გადალახვაში.

როგორ მუშაობს ე.წ. 'LET' (ნებადართული ტექნოლოგიების სია) მიდგომა?

ტერმინი 'LET' - იშიფრება როგორც: ნებადართული ტექნოლოგიების სია

ეს არის ძალზედ მარტივი მიდგომა იმ კომპანიებისათვის, რომელთაც სურთ კონკრეტული ალჭურვილობის/მოწყობილობის შეძენა, რომელიც საინვესტიციო ღირებულება €300,000-მდეა და საგრანტო წახალისება 10%-ს შეადგენს.

ნებადართული ტექნოლოგიების სიაში მითითებული ნებისმიერი მოწყობილობა/ალჭურვილობის შეძენისათვის საჭირო დაფინანსების მიღება ავტომატურად არის შესაძლებელი EU4BUSINESS - EBRD-ის საკრედიტო ხაზის მეშვეობით, ხოლო აღნიშნული სიის ნახვა შესაძლებელია პროგრამის მითითებულ ვებ-გვერდზე: (www.EU4Business-EBRDCreditline.com).

1. შეავსეთ ჩვენს ვებ-გვერდზე მითითებული აპლიკაციის ფორმა, დაურთეთ მას საგაღდებულო შეთავაზება ან პროფორმა ინვოისი თქვენს მიერ შერჩეული თითოეული ტექნიკისათვის, რომელიც მითითებულია ჩვენს 'ნებადართულ ტექნოლოგიათა სიაში' და მიიტანეთ ეს საბუთები ჩვენს პარტნიორ ბანკში.
2. პარტნიორი ბანკი გადაამოწმებს თქვენს მიერ შევსებულ აპლიკაციის ფორმას და დართულ დოკუმენტებს, რათა დარწმუნდეს თქვენი განაცხადის დასაშვებობასა და თქვენს კრედიტუნარიონობაში.
3. თუ ყველაფერი არის წესრიგში, პარტნიორი ბანკი გასცემს სესხს.
4. როგორც კი მოხდება შეძენილი ტექნიკის ადგილზე მონტაჟი, თქვენ უნდა წარუდგინოთ პარტნიორ ბანკს შემდეგი დოკუმენტები:
 - შეძენილი ალჭურვილობის/ტექნიკის ინვოისი
 - გადახდის დამადასტურებელი საბუთი
 - ჩაბარების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 - საგრანტო წახალისების მოთხოვნაზე' შევსებული ფორმა (შეგიძლიათ აღნიშნული ფორმის ჩამოტვირთვა ჩვენი ვებ-გვერდიდან: (www.EU4Business-EBRDCreditline.com))
5. ჩვენი პროგრამის გადამოწმებაზე პასუხისმგებელი კონსულტანტი შეისწავლის თქვენს მიერ წარდგენილ საბუთებს და გასცემს ნებადართვას თქვენთვის საგრანტო წახალისების გადმოცემაზე.
6. პარტნიორი ბანკი განახორციელებს საგრანტო წახალისების გადარიცხვას თქვენს საბანკო ანგარიშზე.

LET (ნებადართული ტექნოლოგიების სია) მიდგომა ინვესტირების მაგალითები

ჩვენს ვებ-გვერზე განთავსებულია ევროკავშირის დირექტივათა ნუსხა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის/ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოში მოქმედი იმ კომპანიებისათვის, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ ინვესტირების პროექტებში. ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი დირექტივების გათვალისწინებით, ჩვენ მოვამზადეთ 'ნებადართული ტექნოლოგიების სია' (ე.წ. 'LET'), რომელიც მოიცავს წინასწარ დამტკიცებულ დამატებით ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს. ამ ტიპის სესხის მისაღებად, თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ სასურველი ტექნოლოგია 'ნებადართული ტექნოლოგიების სიიდან'. LET-ში შემავალი ტექნოლოგიები მუდმივად განახლებადია, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს შეარჩიონ ახალი ტექნოლოგიები, რომელიც პასუხობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის/ასოცირების შეთანხმების ფარგლებში არსებულ პრიორიტეტებს. სიახლეების სანახავად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს. თუ გსურთ ინვესტირება შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობა/დანადგარში, რომელიც არ არის წარმოდგენილი ჩვენს სიაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ დამატებითი დეტალები, ჩვენ კი შევაფასებთ რამდენად დასაშვებია თქვენს მიერ შერჩეული აღჭურვილობა/დანადგარი.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ნებადართული ტექნოლოგიების სიას (LET) და სამომავლოდ ვგეგმავთ ახალი ტექნოლოგიების დამატებით ამ სიის გაფართოებას. სიახლეების სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს.

გთავაზობთ ნებადართული ტექნოლოგიების სიაში (LET) ამჟამად წარმოდგენილი ტექნოლოგიების ნიმუშს:

- სამედიცინო აღჭურვილობა
- საკვების გადამამუშავებელი დანადგარები
- ლაბორატორიის დანადგარები
- საბეჭდი დანადგარები
- ავეჯის დასამზადებელი დანადგარები
- ლაზერული საჭრელი დანადგარები
- ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიები
- არასამგზავრო სატრასპორტო საშუალებები



როგორ მუშაობს მარტივი პროექტის მიდგომა

ეს არის გამარტივებული მიდგომა, რომელიც ექსკლუზიურად განკუთვნილია იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ასოცირებული შეთანხმების შესაბამისად მიზნად ისახავენ ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარული ან საკვების უვნებლობის ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების გაუმჯობესებასა და ევროსტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანას.


1. მიიტანეთ ჩვენს ნებისმიერ პარტნიორ ბანკში თქვენი ევრო 'სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის' გეგმა, შევსებული აპლიკაცია/ფორმა, რომელიც შეგიძლიათ გადმოტვირთოთ ჩვენი ვებ-გვერდიდან: (www.EU4Business-EBRDcreditline.com).
2. პარტნიორი ბანკი ყველა სათანადო დოკუმენტს მიაწვდის ჩვენს ტექნიკური ექსპერტების გუნდს შემდგომი შესწავლისათვის. საჭიროების შემთხვევაში ჩვენმა ტექნიკურმა გუნდმა შესაძლოა მოგცეთ უფასო რჩევა/კონსულტაცია თქვენს გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. დამტკიცების შემთხვევაში, ტექნიკურ ექსპერტთა გუნდი პარტნიორ ბანკს აცნობებს, რომ თქვენ წარმატებით გაიარეთ 'შესაბამისობის შემოწმება' და ასევე მიუთითებს საინვესტიციო და საგრანტო თანხის წინასწარ მაქსიმალურ ოდენობას.
3. პარტნიორი ბანკი განახორციელებს თქვენი კრედიტუნარიანობის გადამოწმებას.
4. თუკი თქვენი ტექნიკური და ფინანსური შემოწმების პასუხი დადებითი იქნება, თქვენ გთხოვენ, რომ ხელი მოაწეროთ სამართლებრივი ურთიერთობის განმსაზღვრავ ე.წ. 'ჩართულობის წერილს'. აღნიშნული ხელშეკრულების ნიმუშის ნახვა შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე: (www.EU4Business-EBRDcreditline.com)
5. თქვენს მიერ წარდგენილი გამარტივებული საინვესტიციო გეგმა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს მიერ მოწოდებულ სტანდარტულ ფორმატს. გამარტივებულ საინვესტიციო გეგმას აუილებლად უნდა დაურთოთ დამხმარე დოკუმენტები, როგორიცაა: შეთავაზებები, კონტრაქტები, ზოგადი დიზაინი, პროფორმა ინვოისები. ყველა ხსენებული დოკუმენტი თან უნდა ერთვოდეს გამარტივებულ საინვესტიციო გეგმას.
6. ჩვენი ტექნიკური გუნდი შეისწავლის თქვენს გეგმას და საჭიროების შემთხვევაში დაგეხმარებათ ცვლილებების შეტანაში. ამის შემდეგ, ჩვენი ტექნიკური გუნდი აცნობებს პარტნიორ ბანკს პროექტის დასაშვებობის და ასევე დამტკიცებული სესხისა და გრანტის ოდენობის შესახებ.
7. როგორც კი სრულად განახორციელებთ თქვენს პროექტს, დაუყოვნებლივ წარუდგინეთ შემდეგი დოკუმენტები ჩვენს პარტნიორ ბანკს:
 - შევსებული CVR ჩამონათვალი (ეს იყო თქვენი გამარტივებული საინვესტიციო გეგმის ნაწილი)
 - ინვოისები
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
 - ჩაბარების აქტი/სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 - 'საგრანტო წახალისების' მოთხოვნის ფორმა (აღნიშნული დოკუმენტის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ჩვენი ვებ-გვერდიდან: www.EU4Business-EBRDcreditline.com)
8. პროგრამის გადამოწმებაზე პასუხისმგებელი კონსულტანტი შეამოწმებს პროექტის დასრულებას გამარტივებული ინვესტიციის გეგმაში მითითებული პარამეტრების მიხედვით, შეაფასებს თქვენი საინვესტიციო პროექტის დასრულებასა და ექსპლუატაციაში შესვლას და დაუდასტურებს თქვენს ბანკს მის შესაბამისობას გამარტივებულ საინვესტიციო გეგმაში მითითებულ დეტალებთან.
9. პარტნიორი ბანკი განახორციელებს საგრანტო წახალისების გადარიცხვას თქვენს საბანკო ანგარიშზე.

მარტივი პროექტი - ინვესტიციის მაგალითები

რეგულარულად ვახორციელებთ აღნიშნული პროექტის განახლებას. თუმცა, ტიპური 'მარტივი საინვესტიციო პროექტების' ნიმუშები მოცემულია ქვემოთ:

მარტივი პროექტები

- საწარმოო და სასაწყობე შენობების რემონტი
- მოსავლის აღების შემდგომი საწყობი შენობა/ნაგებობები
- მალეფუჭებადი პროდუქტის შესანახი მაცივრები
- დასამუშავებელი, შესაფუთი და პროდუქტზე ეტიკეტის დასატანი აპარატურა
- პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემა
- ლაბორატორიები
- პროდუქტის და/ან რისკის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო სისტემის სერტიფიკატის ხარჯები



როგორ მუშაობს კომპლექსური პროექტის მიდგომა?

კომპლექსური პროექტები წარმოადგენს ინვესტიციებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესების მოდერნიზაციისათვის და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. როგორც, წესი ინვესტიციები ემსახურება ევროკავშირის მინიმუმ ერთ ან მეტ დირექტივასთან შესაბამისობას ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სურსათის ხარისხისა და უვნებლობის დარგში. აღნიშნული მიდგომით პროექტებისათვის განკუთვნილი მაქსიმალური სესხის თანხა არის € 3 მილიონი და 15%-მდე საგრანტო წახალისება.

1. შეავსეთ ჩვენს ვებ-გვერდზე მითითებული აპლიკაციის ფორმა (www.EU4Business-EBRDcreditline.com) და მიიტანეთ რომელიმე ჩვენს პარტნიორ ბანკში.

პარტნიორი ბანკი ყველა სათანადო დოკუმენტს მიაწვდის ჩვენს ტექნიკურ ექსპერტთა გუნდს შესაფასებლად. ტექნიკური ექსპერტები შეამოწმებენ პირველადი პროექტის შესაბამისობას, ხოლო ჩვენი პარტნიორი ბანკი შეამოწმებს თქვენს კრედიტუნარიანობას.

ი თუკი ტექნიკური და ფინანსური შემოწმების პასუხი დადებითი იქნა, თქვენ გთხოვენ რომ ხელი მოაწეროთ სამართლებრივი ურთიერთობის განმსაზღვრავ ე.წ. 'ჩართულობის წერილს'. (აღნიშნული წერილის/ხელშეკრულების ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე: (www.EU4Business-EBRDcreditline.com))

ი ჩვენი ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფი თქვენთან ერთად შეუდგება საინვესტიციო გეგმის მომზადებას და განსაზღვრავს კონკრეტულ საჭიროებებს ინვესტიციისათვის, რათა იგი შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივებს. ჩვენი ტექნიკური გუნდი მოამზადებს საინვესტიციო გეგმას და საქმიანობის განრიგს თქვენი პროექტისათვის, რომელიც ასევე განსაზღვრავს საგრანტო წახალისების ოდენობას და პარამეტრებს/პირობებს დირექტივებთან თანხვედრის მისაღწევად პროექტის დასასრულს. საინვესტიციო გეგმა გაიგზავნება თქვენს მიერ შერჩეულ პარტნიორ ბანკში, სადაც თქვენთან განიხილავენ სესხის შეთავაზებას.

ი როგორც კი სრულად განახორციელდებთ თქვენს პროექტს, დაუყოვნებლივ წარუდგინეთ შემდეგი დოკუმენტები ჩვენს პარტნიორ ბანკს::

- შევსებული CVR ჩამონათვალი (ეს იყო თქვენი გამარტივებული საინვესტიციო გეგმის ნაწილი)
- ინვოისები
- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ჩაბარების აქტი/სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 'საგრანტო წახალისების' მოთხოვნის ფორმა (აღნიშნული დოკუმენტის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ჩვენი ვებ-გვერდიდან: www.EU4Business-EBRDcreditline.com)

2. პროგრამის გადამოწმებაზე პასუხისმგებელი კონსულტანტი შეამოწმებს პროექტის დასრულებას საინვესტიციო გეგმაში მითითებული პარამეტრების მიხედვით, შეაფასებს თქვენი საინვესტიციო პროექტის დასრულებასა და ექსპლუატაციაში შესვლას და დაუდასტურებს თქვენს ბანკს მის შესაბამისობას საინვესტიციო გეგმაში მითითებულ თავდაპირველ გეგმებთან.

3. პარტნიორი ბანკი თქვენს საბანკო ანგარიშზე ჩარიცხავს საგრანტო წახალისებას.

კომპლექსური პროექტები - ინვესტირების მაგალითები

ჩვენს ვებ-გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ სია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ასოცირებული შეთანხმებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ევროკავშირის დირექტივების, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ საინვესტიციო პროექტების საგანს. ჩვენ მუდმივად ვახორციელებთ აღნიშნული დირექტივების სიის განახლებას.

კომპლექსური პროექტების მიდგომის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ტიპური მაგალითები მოიცავს შემდეგს:

- ახალი დანადგარები, საწარმოო ტექნიკა, საწარმოო საზღები
- ახალი ბოილერები, გაგრილების სისტემები, გასათბობი ტუმბოები
- საწარმოო დანიშნულების შენობის სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები
- საწარმოო საზღების და შენობების ინტეგრირებული სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები
- სასაწყობე ნაგებობების, მაცივრის ოთახების და ასევე შიდა სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები
- პროდუქტის შესაფუთი დანადგარები
- სატვირთო მანქანები და მისაბმელი (ტრაილერი)
- მიწის ამოსაღები ტექნიკა
- მარცვლეულის შესანახი სისტემები, წისქვილები, ცხოველთა გამოსაკვები მცენარეები
- მეცხოველეობისათვის განკუთვნილი ნაგებობები (ძროხები, ფრინველი, ქათამი და ა.შ)
- გაფრქვევის და მტვრის შესამცირებელი სისტემები
- ნარჩენი წყლების გამწმენდი დანადგარები
- ჰაერის დაბინძურების შემამცირებელ დანადგარები



ჩვენი პარტნიორი ბანკები

ევროკავშირი ბიზნესის მხარდასაჭერად/ევროპის რეკონსტრუქციის & განვითარების ბანკის საკრედიტო ხაზის ფინანსური პროცედურების გამარტივების მიზნით, სესხების გაცემა ხორციელდება ადგილობრივი პარტნიორი ბანკების მეშვეობით. ჩვენი პროგრამის 'პროექტის კონსულტანტები' მუდმივად ეხმარებიან ადგილობრივ პარტნიორ ბანკებს.

საკრედიტო პირობებს და ვადებს ადგენენ ადგილობრივი პარტნიორი ბანკები. კომპანიისათვის სესხის გადაცემასთან დაკავშირებულ საბოლოო გატაყვეტილებას იღებს მხოლოდ პარტნიორი ბანკი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, ევროკავშირს და პროექტის კონსულტანტს არანაირი გავლენა არ აქვთ ამ გადაწყვეტილებაზე.

პროექტის კონსულტანტი პასუხისმგებელია საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ შეფასებაზე და ასევე გადამოწმებაზე პასუხისმგებელ კონსულტანტთან ერთად, იგი ადგენს საგრანტო წახალისების ოდენობას. პარტნიორი ბანკები გასცემენ საგრანტო წახალისებას წარმატებულად დასრულებული პროექტების მფლობელებს. თუმცა, პარტნიორი ბანკები ვერ განსაზღვრავენ და ვერ მოახდენენ გავლენას გასაცემი გრანტების დონეზე.

ამჟამად EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზის პარტნიორი ბანკები არიან საქართველოს ბანკი და თი-ბი-სი ბანკი. მომავალში შესაძლოა დაგვემატოს დამატებითი პარტნიორი ბანკები. სიახლეების სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს.



წარმატების ისტორია



ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია ახალი საწარმოო ხაზისა და დამატებითი დანადგარების შესაძენად, რითაც გააუმჯობესა წარმოების ხარისხი და უზრუნველყო კომპანიის თანამშრომელთათვის უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემო.

ინვესტიციები განხორციელდა ჩამოთვლილ პუნქტებში:

- ახალი წარმოების & ღვინის ჩამოსასხმელი ხაზი
- ახალი ცისტერნა ღვინის ფერმენტაციისთვის
- ღვინის ფილტრი FRM 5 ჰორიზონტალური ფირფიტებით
- ჭიახრახნული მანქანა/ტუმბო და ჩილერი

ინვესტიციის მოცულობა:

- ჯამური ინვესტიცია: €494,936.42
- სესხის ოდენობა: €490,000
- გრანტის ოდენობა (15%): €73,500

ევროკავშირის დირექტივები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოხდა ინვესტიციის ფარგლებში:

- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/32/EU დირექტივა, წევრი ქვეყნების იმ კანონების ჰარმონიზაციის შესახებ, რომლებიც ეხება ბაზარზე ელექტრონული აპარატურის განთავსებას, რომელიც განკუთვნილია ძაბვის გარკვეულ ლიმიტზე
- ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივა 2006/42/EC სამრეწველო/საწარმოო დანადგარებთან დაკავშირებით, რომელსაც ცვლილება შეაქვს 95/16/EC დირექტივაში
- ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციას ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით
- ევროსაბჭოს დირექტივა 2006/12/EC და დირექტივა 91/689/EEC სახიფათო ნარჩენების შესახებ.
- ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის რეგულაცია (EC) No. 1005/2009 ნივთიერებებზე, რომელიც ოზონის შრის შესუსტებას იწვევს (ტექსტი რელევანტურია ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმებასთან).
- ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) No 1935/2004 სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივებს 80/590/EEC.
- ევროკავშირის რეგულაცია 2023/2006 No 89/109/EEC სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების წარმოების შესახებ
- რეგულაცია EN 1672-2 (2009) სურსათის გადამამუშავებელი დანადგარები - ძირითადი ცნებები - ნაწილი 2: ჰიგიენის შესახებ მოთხოვნები

წარმატების ისტორია

სურსათის გადამამუშავებელი კომპანია ინვესტირებას ახორციელებს ახალი დანადგარების შეძენაში და ამით ნერგავს მაღალი ხარისხის დახარისხებისა და შეფუთვის პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობას და აუმჯობესებს ჰიგიენურ ნორმებს წარმოების პროცესში.

ინვესტიციები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:

- კვერცხის დასახარისხებელი და შესაფუთი დანადგარი

ინვესტიციის მოცულობა:

- სესხის ოდენობა: €253,713
- გრანტის ოდენობა (15%): €38,056

ევროკავშირის დირექტივები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოხდა ინვესტიციის ფარგლებში:

- ევროკავშირის რეგულაცია 2023/2006 სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების სწორი წარმოების პრაქტიკის შესახებ
- ნედლეულთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლები, 5-ე გამოცემა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის რეგულაციას No178/2002: მიკრობიოლოგიური, მძიმე მეტალების, მიკოტოქსინებისა და შესაფუთი ნარჩენების მიკვლევადობის შესახებ
- რეგულაცია (EC) No 178/2002, სადაც გაწერილია სურსათთან დაკავშირებული კანონების ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები და რომელიც საფუძვლად უდევს ევროპის სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი ორგანოს ჩამოყალიბებასა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ პროცედურებს



წარმატების ისტორია



დასავლეთ საქართველოში განლაგებულმა **ხილის ჩირისა და სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მწარმოებელმა კომპანიამ** გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და გაზარდა ექსპორტის მოცულობა ახალ საშრობ, სარეცხ, საჭრელ და ასევე ფოთლების საპრეს დანადგარებში ინვესტირებით.

ინვესტირება განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:

- გადამამუშავებელი და საწარმოო ნაგებობის მშენებლობა;
- ნედლეულის გადამამუშავებელი დანადგარების და ჩირის აპარატის (ხილის საშრობი) შეძენა და მონტაჟი
- შემგროვებელი ჯგუფისათვის სასწავლო ცენტრისა და ნედლეულისათვის საწყობის მშენებლობა

ინვესტიციის მოცულობა:

- ინვესტიციის ჯამური ოდენობა: €142,270.97
- სესხის ოდენობა: €129,090.91
- გრანტის ოდენობა (15%): €19,363.64

ევროკავშირის დირექტივები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოხდა ინვესტიციის ფარგლებში:

- ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) No 834/2007 ორგანულ წარმოებასა და ორგანული პროდუქციის მარკირების შესახებ, რომელიც აბათილებს რეგულაციას (EEC) No 2092/91
- რეგულაცია (EC) No 178/2002, სადაც გაწერილია სურსათთან დაკავშირებული კანონების ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპის სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი ორგანოს ჩამოყალიბებასა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ პროცედურებს.
- რეგულაცია 2023/2006 სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების სწორი წარმოების პრაქტიკის შესახებ

წარმატების ისტორია

ასფალტის მწარმოებელმა (ამრევი) კომპანიამ განაახლა ელექტრო და ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი სისტემა, ასევე გააუმჯობესა ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტები და დანადგარების უსაფრთხოება. აღნიშნული ინვესტიციის წყალობით, კომპანიას ამჟამად აქვს თანამედროვე საწარმო, უზრუნველყოფილი აქვს თანამშრომელთა შრომითი უსაფრთხოება, შემცირებული აქვს დამაბინძურებლების გამოყოფა და გაუმჯობესებულია წარმოებული პროდუქციის ხარისხი. ინვესტიციის წყალობით, შპს GCG ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ასფალტის მწარმოებელ ქარხნად იქცა.

ინვესტირება განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:

- ასფალტის ქარხანა
- ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი სისტემა (ქარხანა)
- ტექნიკური, სანიტარული და სასმელი წყლის მომარაგება
- ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება

ინვესტიციის მოცულობა:

- ინვესტიციის ჯამური ოდენობა: €1,331,000.00
- სესხის ოდენობა: €820,000
- გრანტის ოდენობა (15-20%): €123,000

ევროკავშირის დირექტივები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოხდა ინვესტიციის ფარგლებში:

- ევროსაბჭოს დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მართვის შესახებ 96/62/EC (ევროკავშირში ჰაერის ხარისხის მართვის ჩარჩო დირექტივა);
- ევროკავშირის რეგულაცია No 305/2011, სადაც გაწერილია სამშენებლო პროდუქციის მარკეტინგის საკითხებში ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზება და რომელიც აბათილებს ევროსაბჭოს No 89/106/EEC დირექტივას;
- დირექტივა 2014/35/EU, რომელიც მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციას ბაზარზე ელექტრონული აპარატურის განთავსებას, რომელიც მუშაობს ძაბვის გარკვეული ლიმიტის ფარგლებში;
- დირექტივა 2006/42/EC სამრეწველო/საწარმოო დანადგარებთან დაკავშირებით, რომელსაც ცვლილება შეაქვს 95/16/EC დირექტივაში



დაფინანსების გარდა, კომპანიებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ჩვენი ექსპერტული ცოდნითა და გამოცდილებით, რაც მათ დაეხმარებათ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების გზით კომპანიებს შეუძლიათ ადგილობრივ და საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად განახორციელონ სხვადასხვა სახის საკონსულტაციო პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას, პროდუქციის ექსპორტისათვის მარკეტინგული გეგმის შემუშავებას ან სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული პროცედურების დაახლოებას თანამედროვე სტანდარტებთან.

ბიზნეს რჩევა

ადგილობრივ კონსულტანტთან ერთად იმუშავეთ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს თქვენი ბიზნესის კონკრეტული ასპექტის გაუმჯობესებას, მაგალითად: ახალი ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას, რომელიც პასუხობს ISO სტანდარტებს ან ჩაატარეთ ახალი ქარხნის პროექტის განხორციელებადობის კვლევა/გეგმა. ამგვარი პროექტების შედგენას დაახლოებით 4-6 თვე ესაჭიროება. გამოიყენეთ მსოფლიოში აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკა, რათა გაზარდოთ თქვენი ბიზნესის კონკურენტუნარიანობა. პროგრამა უზრუნველყოფს პროექტზე გაწეული ხარჯების ნაწილობრივ €10,000-მდე ანაზღაურებას. კონსულტაციებში შედის ექსპერტული ცოდნის გაზიარება ისეთ საკითხებში, როგორცაა:

- სტრატეგია
- მარკეტინგი
- ორგანიზაცია
- ოპერაციები
- ტექნოლოგიები
- საინჟინრო გადაწყვეტილებები
- ხარისხის მართვა
- ფინანსური მენეჯმენტი
- ენერგოეფექტურობა და გარემო

მრეწველობის სფეროს ექსპერტული ცოდნა

იმისათვის, რომ თქვენმა ბიზნესმა საერთაშორისო ასპარეზზე შეძლოს კონკურენციის გაწევა, ისარგებლეთ თქვენს სფეროში მოღვაწე საერთაშორისო კონსულტანტის ცოდნითა და გამოცდილებით. ასევე თქვენივე სფეროს მენეჯმენტის მიმართულებით საკუთარი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით, კონსულტანტებს შეუძლიათ დაგეხმარონ ბიზნესის ყველა ასპექტის სტრატეგიულ განხილვაში და ბიზნესის განვითარებისა და ინვესტირებისათვის სანდო სტრატეგიის შემუშავებაში.

იქნება ეს ძაფის (შალის) დახვევისათვის სწორი ტენიანობის დონის შერჩევა, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებისათვის ლაბორატორიული სტანდარტების დანერგვა თუ წარმოების გასაუმჯობესებლად ყველაზე ეფექტური დანადგარების შერჩევა, ჩვენი საერთაშორისო კონსულტანტები კარგად არიან ინფორმირებული ყველა იმ საკითხის შესახებ, რომელიც თითოეულ ბიზნეს დარგს უკავშირდება. ამ ტიპის პროექტების ხანგრძლივობა 12-დან 18 თვემდე განისაზღვრება.

დაუკავშირდით სხვა მეწარმეებს და გააღმავეთ თქვენი ცოდნა ექსპორტის დარგში

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობი კურსები ექსპორტის სფეროში ეხმარება კომპანიებს უკეთ გაიგონ ექსპორტის საფუძვლები, მათ შორის სწორი ბაზრის შერჩევა, პროდუქციის დინამიკა, ექსპორტის დაგეგმვა და ევროკავშირის სპეციფიკა ექსპორტის კუთხით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) რეგულარულად ახდენს სხვადასხვა ღონისძიებების, ტრენინგებისა და მეწარმეთა ერთმანეთთან დაკავშირების ხელშეწყობი შესაძლებლობების ორგანიზებას.

გააგზავნეთ ელექტრონული წერილი შემდეგ მისამართზე: knowhowgeorgia@ebrd.com, დაგვიკავშირდით Facebook-ზე და შეიტყვეთ უფრო მეტი ჩვენს მიერ დაგეგმილი სიახლეების შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის ინიციატივის 'ევროკავშირი ბიზნესის მხარდასაჭერად' ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კონსულტანტს და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებას.

მომზადდა და მხარდაჭერილია:



EU4Business



European Bank
for Reconstruction and Development

EU4BUSINESS | EBRD
Credit Line

Shartava street, 40, 6th Floor,

0179 Tbilisi, Georgia

infogeorgia@dcftacreditline.com

+995 (0)32 2240805

www.EU4Business-EBRDCreditline.com



Funded under the EU4Business
Initiative of the European Union